



## საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

### ბრძანება

2021 წლის 12 იანვარი

4/04

№

თბილისი

#### პრევენციული ღონისძიებების განხორციელების შესახებ სახელმძღვანელოს დამტკიცების თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, ამავე ორგანული კანონის 48-ე მუხლის მე-3 პუნქტის და „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის და 38-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

**მუხლი 1.** დამტკიცდეს პრევენციული ღონისძიებების განხორციელების შესახებ სახელმძღვანელო თანდართული რედაქციით.

**მუხლი 2.** ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „პრევენციული ღონისძიებების განხორციელების შესახებ სახელმძღვანელოს დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 1 ნოემბრის N210/04 ბრძანება.


**მუხლი 3.** ამ ბრძანების ამოქმედებამდე ანგარიშვალდებულ პირთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი კლიენტების მიმართ ამ ბრძანებით გათვალისწინებული პრევენციული ღონისძიებები განხორციელდეს აღნიშნული კლიენტების რისკის შესაბამისი პერიოდულობით კლიენტთან დაკავშირებული ინფორმაციისა და დოკუმენტების განახლების დროს.

**მუხლი 4.** ანგარიშვალდებულმა პირებმა, 2021 წლის 1 აპრილამდე, უზრუნველყონ საკუთარი შიდა კონტროლის პოლიტიკისა და წესების შესაბამისობა ამ ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებთან.

მუხლი 5. 2021 წლის 1 აპრილამდე პერიოდში ანგარიშვალდებული პირის შიდა კონტროლის პოლიტიკა და წესები უნდა შეესაბამებოდეს „პრევენციული ღონისძიებების განხორციელების შესახებ სახელმძღვანელოს დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 1 ნოემბრის N210/04 ბრძანებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

მუხლი 6. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

პრეზიდენტის მოვალების  
შემსრულებელი

 არჩილ მესტვირიშვილი

## პრევენციული ღონისძიებების განხორციელების შესახებ სახელმძღვანელო

### **მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. პრევენციული ღონისძიებების განხორციელების შესახებ სახელმძღვანელოს მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებულ ფინანსურ ინსტიტუტებს (შემდგომში - ანგარიშვალდებული პირი) განსაზღვრონ, თუ რაზე გაამახვილონ ყურადღება ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების (ML/FT) რისკების მართვის პროცესში, როგორც კლიენტის მიღების, ისე საქმიანი ურთიერთობის მიმდინარეობისას. პრევენციული ღონისძიებების (CDD) გამოყენება ანგარიშვალდებულ პირს საშუალებას აძლევს გააანალიზოს და მართოს საქმიან ურთიერთობასთან ან ერთჯერად გარიგებასთან დაკავშირებული რისკები.
2. პრევენციული ღონისძიებების განხორციელების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის (მათ შორის, იმ ინფორმაციის გათვალისწინებით, თუ რა პროდუქტით/მომსახურებით სარგებლობს ან სურს სარგებლობა კლიენტს) მიხედვით განსაზღვრება კლიენტის რისკის პროფილი, დგინდება დამატებით მოსაპოვებელი ინფორმაციის ფარგლები, მოპოვებული/მოსაპოვებელი ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის შინაარსი/ფორმატი და მიმდინარე მონიტორინგის განხორციელების ტრიპი (ინტენსივობა). აღნიშნული, გავლენას ახდენს ანგარიშვალდებული პირის გადაწყვეტილებაზე დაამყაროს, გააგრძელოს თუ შეწყვიტოს კლიენტთან საქმიანი ურთიერთობა.
3. ანგარიშვალდებულმა პირმა საზედამხედველო ორგანოს უნდა დაუსაბუთოს, რომ კლიენტის მიმართ გატარებული პრევენციული ღონისძიებები შეესაბამება ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკებს. გამოსაყენებელი პრევენციული ღონისძიებების ფარგლები და გამოყენების პროცესი დეტალურად უნდა განსაზღვროს ანგარიშვალდებული პირის პოლიტიკა-პროცედურებით, რომელიც შესაბამისობაში უნდა იყოს საერთაშორისო სტანდარტებთან, ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტების მოთხოვნებთან.
4. ანგარიშვალდებულმა პირმა არ უნდა დაამყაროს პირთან საქმიანი ურთიერთობა ან შეასრულოს ერთჯერადი გარიგება, თუ სახეზეა ერთ-ერთი შემდეგი შემთხვევა:
  - ა) რისკის შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები არ არის განხორციელებული;
  - ბ) არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ კლიენტი, კლიენტის ბენეფიციარი მესაკუთრე ან გარიგების მონაწილე სხვა პირი შეყვანილია გაეროს მიერ სანქციადაკისრებულ პირთა სიაში;

- გ) ანგარიშვალდებული პირი არ არის დარწმუნებული, რომ მოახერხებს საქმიან ურთიერთობასთან ან ერთჯერად გარიგებასთან დაკავშირებული რისკების ეფექტიანად მართვას.
5. კლიენტთან დამყარებული საქმიანი ურთიერთობა უნდა შეწყდეს, თუ სახეზეა ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე შემთხვევა.
6. ანგარიშვალდებული პირი ვალდებულია გამოიყენოს კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა პრევენციული ღონისძიება და კანონმდებლობით დაშვებულ ფარგლებში, უფლებამოსილია, განსაზღვროს პრევენციული ღონისძიებების გამოყენების ფარგლები რისკ-სენსიტიურობის გათვალისწინებით.
7. რისკზე დამყარებული მიდგომის გამოყენებისთვის, აუცილებელია, ანგარიშვალდებულმა პირმა:
- ა) შეაგროვოს ინფორმაცია კლიენტის და მის მიერ განსახორციელებელი ოპერაციების/გარიგებების შესახებ და შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე, დაადგინოს კლიენტთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორები;
  - ბ) იდენტიფიცირებული რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით, მიანიჭიოს კლიენტს რისკის შესაბამისი დონე (როგორც წესი: დაბალი, საშუალო ან მაღალი);
  - გ) იდენტიფიცირებული რისკის შესაბამისად, განსაზღვროს გამოსაყენებელი პრევენციული ღონისძიებების ფარგლები (დაბალი რისკის შემთხვევაში - გამარტივებული, საშუალო რისკის შემთხვევაში - სტანდარტული, ხოლო მაღალი რისკის შემთხვევაში - გაძლიერებული პრევენციული ღონისძიებები);
  - დ) საქმიანი ურთიერთობის მიმდინარეობისას, კლიენტისა და მის მიერ განხორციელებული ოპერაციების/გარიგებების შესახებ შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე, გადააფასოს კლიენტის რისკის დონე და იდენტიფიცირებული რისკის შესაბამისად, განსაზღვროს პრევენციული ღონისძიებების ფარგლები.
- მუხლი 2. „იცნობდე შენს კლიენტს“ სტანდარტი**
1. ანგარიშვალდებული პირი უნდა იცნობდეს საკუთარ კლიენტებს. ამ მიზნით, მან უნდა დანერგოს „იცნობდე შენს კლიენტს“ სტანდარტი (KYC), რომელიც წარმოადგენს მუდმივ პროცესს კლიენტების და მათი საქმიანობის შესასწავლად და ასევე, სხვა საჭირო ინფორმაციის მოსაპოვებლად.
  2. კლიენტების შესწავლა ხორციელდება საქმიანი ურთიერთობის მთელი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, კლიენტის საწყისი რისკის პროფილის შესაქმნელად, აუცილებელია, შესაბამისი პროცედურებით დეტალურად განისაზღვროს კლიენტის პირველადი მიღების პროცესში მოსაპოვებელი ინფორმაციის ფარგლები და იმ დოკუმენტაციის შინაარსი ან/და ჩამონათვალი, რისი მოპოვებაც ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა უზრუნველყოს მიღებული ინფორმაციის დადასტურების მიზნით.

3. საქმიანი ურთიერთობის დამყარებისას/ერთჯერადი გარიგების განხორციელებისას, ანგარიშვალდებულმა პირმა, პირველ რიგში უნდა მოახდინოს კლიენტის იდენტიფიკაცია და დადგენილი მონაცემების საფუძველზე, გადაამოწმოს იგი (მათ შორის, კლიენტის ბენეფიციარი მესაკუთრე ან/და საჭიროების შემთხვევაში, კლიენტის მფლობელობის (კონტროლის) სტრუქტურაში შემავალი პირი) პოლიტიკური და სანქციადაკისრებულ პირთა სიებში. კლიენტის იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის პროცესი უნდა წარიმართოს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის შესაბამისი რეგულაციების მიზედვით, ხოლო კლიენტის მფლობელობითი (კონტროლის) სტრუქტურის დადგენის და ბენეფიციარი მესაკუთრის იდენტიფიკაციის/ვერიფიკაციის მიზნით, ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა იხელმძღვანელოს „ანგარიშვალდებული პირის მიერ კლიენტის მფლობელობისა და კონტროლის სტრუქტურის შესწავლის და ბენეფიციარი მესაკუთრის იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 21 ოქტომბრის N189/04 ბრძანებით და კლიენტის ბენეფიციარი მესაკუთრის დადგენასთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული სახელმძღვანელო დოკუმენტით.
4. კლიენტის შესწავლის მიზნით, ანგარიშვალდებულმა პირმა, საიდენტიფიკაციო მონაცემების გარდა, უნდა მოიპოვოს ინფორმაცია, რაც მას დაეხმარება განსაზღვროს კლიენტის საწყისი რისკის დონე და შესაბამისად, განსაზღვროს არსებული რისკის მართვის ეფექტური მექანიზმები. ამასთან, ანგარიშვალდებულ პირს, ტრანზაქციების მონიტორინგისას, კლიენტისათვის ჩვეულ/მოსალოდნელ ტრანზაქციებთან შეუსაბამო გარიგებების (ოპერაციების) გამოვლენის საშუალებას აძლევს შემდეგი ინფორმაცია:
- ა) კლიენტის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია:
- ა.ა) ფიზიკური პირის შემთხვევაში - არის დასაქმებული/სტუდენტი/უმუშევარი/პენსიონერი/ეწევა სამეწარმეო საქმიანობას. თუ პირი ეწევა სამეწარმეო საქმიანობას უნდა დადგინდეს საქმიანობის სფერო, ხოლო თუ პირი დასაქმებულია - დაკავებული პოზიცია/თანამდებობა;
- ა.ბ) იურიდიული პირის (მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ბენეფიციარი მესაკუთრის) შემთხვევაში - საქმიანობის სფერო და მასთან დაკავშირებული დეტალები;
- ბ) ინფორმაცია კლიენტის შემოსავლის შესახებ - კლიენტის შემოსავლის სახე (მაგალითად, ხელფასი, პენსია, ინვესტიცია, ა.შ) და ოდენობა;
- გ) ინფორმაცია საქმიანი ურთიერთობის მიზნის და განზრახული ხასიათის შესახებ:
- გ.ა) კლიენტი მოქმედებს საკუთარი, თუ სხვისი სახელით/სასარგებლოდ;
- გ.ბ) მესამე მხარე/მხარეები და მათი როლი კლიენტის მიერ ანგარიშვალდებულ პირთან დამყარებულ საქმიან ურთიერთობაში/ოპერაციაში (განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევებში, როცა სახეზეა რთული გარიგება/ოპერაცია

რამდენიმე მხარის ან/და იურისდიქციის ჩართულობით. მაგალითად, სესხის სამშრივი ხელშეკრულებები, ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტები);

გ-გ) რა პროდუქტით ან მომსახურებით სურს სარგებლობა კლიენტს. მოსალოდნელი ოპერაციების/გარიგებების მოცულობა, სიხშირე და ხასიათი (გეოგრაფიული არეალი (მაგ. საერთაშორისო თუ ადგილობრივი, ოპერაციები მაღალი რისკის იურისდიქციებთან). ასევე, მიზანშეწონილია, დადგინდეს ისეთი ინფორმაცია, როგორიცაა, მაგალითად, მოსალოდნელი ოპერაციების/გარიგებების ვალუტა, პერიოდი).

5. საქმიანი ურთიერთობის მიზნის და განზრახული ხასიათის შეუსაბამობა კლიენტის საქმიანობის სფეროსთან, შესაძლოა, საჭირო მისი მისი გამოყენების აშკარა ეკონომიკური საფუძველი, ან თუ პროდუქტი არ შეესაბამება კლიენტის საქმიანობას, (მაგალითად, კლიენტს სურს ივაჭროს ფასიანი ქაღალდებით, როცა იგი წარმოადგენს მარტივ სავაჭრო ობიექტს ან კლიენტი ითხოვს ანგარიშის გახსნას საერთაშორისო გადარიცხვების განხორციელებისთვის, როცა გაცხადებული საქმიანობის სფეროს თანახმად, იგი ცალსახად ადგილობრივად ოპერირებს).
6. გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ინფორმაციისა, კონკრეტული გარემოებიდან გამომდინარე, შესაძლოა საჭირო გახდეს დამატებით სხვა სახის ინფორმაციის მოპოვებაც. მაგალითად, არარეზიდენტი კლიენტის შემთხვევაში, უნდა დადგინდეს, თუ რატომ სარგებლობს კლიენტი მომსახურებით უცხო ქვეყნის იურისდიქციაში იმ მიზნით, რომ განსაზღვროს, საქართველოში გახსნილი ანგარიშები ხომ არ იქნება გამოყენებული მხოლოდ სატრანზიტო ფუნქციით.
7. კლიენტის პირველადი რისკის პროფილის განსაზღვრისთვის საჭირო ინფორმაცია უნდა დადგინდეს კლიენტთან პირისპირ განხორციელებული ინტერვიუს შედეგად, გარდა იმ შემთვევისა, როცა კლიენტის იდენტიფიკაცია და ვერიფიკაცია ხორციელდება ელექტრონულად. ამ შემთხვევაში, ანგარიშვალდებული პირი, უფლებამოსილია, კლიენტის პირველადი რისკის პროფილის განსაზღვრისთვის აუცილებელი ინფორმაცია მოიპოვოს დისტანციურად, კლიენტთან უშუალო კონტაქტის გარეშე.
8. კლიენტის მიღების პროცესში წებისმიერი არხის გამოყენებისას, ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა უზრუნველყოს ინფორმაციის აღრიცხვა/ანკეტირება.
9. დამატებითი ინფორმაციის ან/და დოკუმენტაციის გამოთხოვა ხდება იდენტიფიცირებული რისკის შესაბამისად. მაგალითად, მაღალი რისკის არსებობისას, ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა მიიღოს გონივრული ზომები კლიენტის შემოსავლის, ქონების და ფულადი სახსრების წარმომავლობის დასადგენად და კლიენტის ან/და ბენეფიციარი მესაკუთრის ქონებისა და საქმიანობის შესახებ

დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის მოსაპოვებლად. გარდა ამისა, ანგარიშვალდებულმა პირმა, კლიენტის ან/და ბენეფიციარი მესაკუთრის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია, საჭიროებისამებრ (მაგალითად, უჩვეულოდ დიდი გარიგებები/ოპერაციები, მათი შეუსაბამობა კლიენტის მიერ გაცხადებულ ინფორმაციასთან, ეჭვი მოპოვებული ინფორმაციის სისწორე/სიზუსტეში ან სხვა), უნდა გადაამოწმოს სანდო და დამოუკიდებელი წყაროების გამოყენებით, იდენტიფიცირებული რისკის მიუხედავად, იმისათვის, რომ დარწმუნდეს შესაბამისი რისკ - ფაქტორების სისწორეში.

10. ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული გარკვეული სახის ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია არ განხორციელდეს დაბალი რისკის შემთხვევაში. საქმიანი ურთიერთობის მიზანი და განზრახული ხასიათი ანგარიშვალდებულმა პირმა შესაძლოა დაადგინოს საქმიანი ურთიერთობის ან გარიგებების სახეობიდან გამომდინარე. ასევე, ბენეფიციარი მესაკუთრის საქმიანობისთან დაკავშირებული ინფორმაცია შესაძლოა არ დადგინდეს დაბალი რისკის შემთხვევაში იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული არ მოახდენს გავლენას რისკის ადეკვატურ და სწორ შეფასებაზე.
11. ანგარიშვალდებულმა პირმა, ამ სახელმძღვანელოს მოთხოვნები უნდა გაითვალისწინოს, როგორც საქმიან ურთიერთობაში მყოფ კლიენტებთან, ისე, იმ პირებთან მიმართებაში, რომლებიც ახორციელებენ ერთჯერად ოპერაციებს, იმ შემთხვევებში, როდესაც, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღვეთის ხელშეწყობის შესახებ კანონმდებლობით, მათ მიმართ პრევენციული ღონისძიებების განხორციელება მოითხოვება.
12. მომსახურების გადახდის აპარატის მეშვეობით ოპერაციების შესრულებისას, კლიენტის მიმართ პრევენციული ღონისძიებები უნდა განხორციელდეს საქართველოს ეროვნულ ბანკთან შეთანხმებული წესის შესაბამისად.

### **მუხლი 3. გამარტივებული პრევენციული ღონისძიებები**

1. ანგარიშვალდებულ პირს აქვს უფლება გამოიყენოს გამარტივებული პრევენციული ღონისძიებები (SDD) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, როცა საქმიან ურთიერთობასთან დაკავშირებული ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების (ML/TF) რისკები დაბალია. მოპოვებული ინფორმაცია საშუალებას უნდა აძლევდეს ანგარიშვალდებულ პირს დარწმუნდეს, რომ საქმიან ურთიერთობასთან დაკავშირებული რისკი დანამდვილებით დაბალია. დაბალი რისკის მინიჭების არგუმენტაცია შესაბამისობაში უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობასთან, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 7 მაისის N82/04 ბრძანებით დამტკიცებულ „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების რისკის შეფასების სახელმძღვანელოსთან“ და

ანგარიშვალდებული პირის შიდა პროცედურებთან. მოპოვებული ინფორმაცია, აგრეთვე, საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ ანგარიშვალდებულ პირს ჰქონდეს საკმარისი ინფორმაცია საქმიანი ურთიერთობის ბუნებაზე, რათა მან შეძლოს გამოავლინოს საეჭვო ან უჩვეულო გარიგებები.

2. გამარტივებული პრევენციული ღონისძიებები არ წარმოადგენს რომელიმე პრევენციული ღონისძიებისგან გათავისუფლების საფუძველს (მათ შორის, არც მიმდინარე მონიტორინგისგან). ანგარიშვალდებული პირი უფლებამოსილია განსაზღვროს გამოსაყენებელი პრევენციული ღონისძიების ტიპი, რაოდენობა (მოცულობა/ინტენსივობა) და გამოყენების დრო/სიხშირე იდენტიფიცირებული დაბალი რისკის შესაბამისად.
3. გამარტივებული პრევენციული ღონისძიებების გატარებისას, ანგარიშვალდებული პირი უფლებამოსილია დაარეგულიროს:
  - ა) იდენტიფიკაციის, ვერიფიკაციის ან/და მონიტორინგის განხორციელების მიზნებისთვის მოპოვებული ინფორმაციის რაოდენობა;
  - ბ) იდენტიფიკაციის, ვერიფიკაციის ან/და მონიტორინგის განხორციელების მიზნებისთვის მოპოვებული ინფორმაციის წყარო;
  - გ) კლიენტის ან/და კლიენტის ბენეფიციარი მესაკუთრის ვერიფიკაციის განხორციელების დრო;
  - დ) პრევენციული ღონისძიებების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის გადახედვის და განახლების სიხშირე. აღნიშნული, შესაძლოა, დამოკიდებული იყოს ახალი გარემოების წარმოშობაზე, მაგალითად, როდესაც კლიენტს სურს მიიღოს ახალი პროდუქტი ან ისარგებლოს განსხვავებული მომსახურებით, რაც არსებითად ცვლის კლიენტთან დაკავშირებულ გარემოებებს; ან მაშინ, როცა ტრანზაქცია/ტრანზაქციების ერთობლიობა მიაღწევს გარკვეულ, წინასწარ განსაზღვრულ ზღვარს. გარდა ამისა, ინფორმაციის/დოკუმენტაციის გადახედვა ხორციელდება გადახედვისა და განახლებისთვის განსაზღვრული წინასწარი პერიოდულობის შესაბამისად (მაგალითად, 3-5 წელი). ინფორმაციის/დოკუმენტაციის გადახედვის/განახლების მაქსიმალური ვადა არ უნდა აღემატებოდეს 5 წელს. ნებისმიერ შემთხვევაში, აუცილებლად უნდა გამოირიცხოს განახლებული ინფორმაციის შენახვის ვალდებულებისგან თავის არიდების შემთხვევები;
  - ე) ტრანზაქციების მონიტორინგის სიხშირე და ინტენსივობა (მაგალითად, იმ ტრანზაქციების მონიტორინგი, რომელიც გარკვეულ, წინასწარ დადგენილ ზღვარს მიაღწევს. აღნიშნულ შემთხვევაში, აუცილებელია ტრანზაქციების გონივრული ზღვარის განსაზღვრა და დაკავშირებული ტრანზაქციების დადგენისასთვის საჭირო შესაბამისი სისტემის არსებობა).
4. ანგარიშვალდებული პირის მიერ გამარტივებული პრევენციული ღონისძიებების გამოყენებისას, კლიენტის და კლიენტის ბენეფიციარი მესაკუთრის

იდენტიფიკაცია/ვერიფიკაცია და აგრეთვე, კლიენტის მფლობელობის (კონტროლის) სტრუქტურის შესახებ ინფორმაციის მოპოვება და გადამოწმება უნდა განხორციელდეს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის და ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად, აღნიშნული წესებით დაშვებულ ფარგლებში და ამ წესებით განსაზღვრული სანდო წყაროების გამოყენებით.

5. იდენტიფიკაციის, ვერიფიკაციის ან/და მონიტორინგის მიზნებისთვის მოპოვებული ინფორმაციის რაოდენობის (მოცულობის) და ინფორმაციის წყაროს რეგულირება მოიცავს საქმიანი ურთიერთობის მიზნისა და განზრახული ხასიათის დადგენას საქმიანი ურთიერთობის ან გარიგების სახეობიდან გამომდინარე (როდესაც პროდუქტი შექმნილია მხოლოდ ერთი, კონკრეტული გამოყენებისთვის (მაგალითად, საბანკო ანგარიში გამოიყენება მხოლოდ სოციალური დახმარების ჩარიცხვისათვის, ან მხოლოდ საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობის მიზნით)).
6. კლიენტის ან/და კლიენტის ბენეფიციარი მესაკუთრის ვერიფიკაციის განხორციელების დროის რეგულირება გულისხმობის შემდეგს:
  - ა) კლიენტის ან ბენეფიციარი მესაკუთრის ვინაობის გადამოწმება საქმიანი ურთიერთობის დამყარების შემდეგ/ საქმიანი ურთიერთობის მიმდინარეობისას;
  - ბ) კლიენტის ან ბენეფიციარი მესაკუთრის ვინაობის გადამოწმება მას შემდეგ, რაც ტრანზაქცია/ტრანზაქციების ერთობლიობა გადააჭარბებს წინასწარ განსაზღვრულ თანხობრივ ლიმიტს.
7. ვერიფიკაციის გადადება დასაშვებია, თუ ეს აუცილებელია კლიენტის მომსახურების შეფერხების თავიდან აცილებისთვის. ანგარიშვალდებულმა პირმა ვერიფიკაციის განხორციელების დროის რეგულირებისას, უნდა უზრუნველყოს ყველა შემდეგი პირობის შესრულება:
  - ა) ვერიფიკაციის გადადება არ გამოიწვევს პრევენციული ღონისძიების *de facto* გამორიცხვას და საბოლოო ჯამში, კლიენტისა და ბენეფიციარი მესაკუთრის ვინაობა ვერიფიცირებული იქნება;
  - ბ) დროის ლიმიტი გონივრულად ხანმოკლე პერიოდით განისაზღვრება (არაუმეტეს 30 კალენდარული დღისა);
  - გ) ტრანზაქციის ზღვარი გონივრულად დაბალი ოდენობითაა განსაზღვრული, ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების გათვალისწინებით;
  - დ) ანგარიშვალდებულ პირს გააჩნია შესაბამისი სისტემა/მექანიზმები, რომელიც ავტომატურად უზრუნველყოფს წინასწარ განსაზღვრული ზღვარის (მათ შორის დანაწევრებული ტრანსაქციები) ან/და დროის ლიმიტის მიღწევის გამოვლენას.
8. თუ გაძლიერებული პრევენციული ღონისძიებების გამოყენებას ითვალისწინებს კანონმდებლობა ან საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 7

მაისის N82/04 ბრძანებით დამტკიცებული „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების რისკის შეფასების სახელმძღვანელო“ ან/და ასევე, ნებისმიერი ისეთი ინდიკატორის/რისკ-ფაქტორის არსებობის შემთხვევაში, რომელიც ეჭვებული აყენებს რისკის დაბალი დონის არსებობას (მაგალითად, უჩვეულოდ დიდი გარიგებები/ოპერაციები, ოპერაციების შეუსაბამობა კლიენტის მიერ გაცხადებულ ინფორმაციასთან, ეჭვის არსებობა მოპოვებული ინფორმაციის სისწორე/სიზუსტეში ან სხვა), გამარტივებული პრევენციული ღონისძიებების გამოყენება დაუშვებელია.

#### **მუხლი 4. გაძლიერებული პრევენციული ღონისძიებები**

1. ანგარიშვალდებულმა პირმა, მაღალრისკიან შემთხვევებში, რისკების მიტიგაციის მიზნით, უნდა განახორციელოს გაძლიერებული პრევენციული ღონისძიებები (EDD). გაძლიერებული პრევენციული ღონისძიებების გამოყენება სავალდებულოა საქართველოს კანონმდებლობის და რისკის შეფასების სახელმძღვანელოს შესაბამისად განსაზღვრულ შემთხვევებში და ასევე, ანგარიშვალდებული პირის პოლიტიკა-პროცედურების დებულებების შესაბამისად.
2. ანგარიშვალდებულმა პირმა სტანდარტულ პრევენციულ ღონისძიებებთან ერთად, მაღალი რისკის შემთხვევაში, უნდა გაატაროს შემდეგი გაძლიერებული პრევენციული ღონისძიებები:
  - ა) მოიპოვოს დამატებითი ინფორმაცია კლიენტის (მათ შორის, ბენეფიციარი მესაკუთრის) საქმიანობისა და ქონების შესახებ და მიიღოს გონივრული ზომები მის გადასამოწმებლად;
  - ბ) მოიპოვოს დამატებითი ინფორმაცია საქმიანი ურთიერთობის განზრაბული ხასიათის, მათ შორის, მომზადებულ, დადებულ ან შესრულებულ და მოსალოდნელ გარიგებათა მიზნებისა და საფუძვლების შესახებ;
  - გ) განახორციელოს მიმდინარე საქმიანი ურთიერთობის გაძლიერებული მონიტორინგი;
  - დ) მიიღოს ნებართვა ხელმძღვანელობისგან საქმიანი ურთიერთობის დამყარების ან გაგრძელების შესახებ.
3. კლიენტის (მათ შორის ბენეფიციარი მესაკუთრის) საქმიანობისა და ქონების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოპოვება გულისხმობს შემდეგს:
  - ა) კანონმდებლობით განსაზღვრულ სავალდებულო საიდენტიფიკაციო მონაცემებთან ერთად, საჭიროების შემთხვევაში, კლიენტის/ბენეფიციარი მესაკუთრის შესახებ დამატებითი ინფორმაციის/მონაცემების მოპოვებას, მაგალითად:
  - ა.ა) ფიზიკური პირის შემთხვევაში - მამის სახელი, განათლება/პროფესია, პირადი და სამსახურეობრივი საკონტაქტო ინფორმაცია;
  - ა.ბ) იურიდიული პირის (არარეგისტრირებული ორგანიზაციული წარმონაქმნის) შემთხვევაში:
  - ა.ბ.ა) კლიენტის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის/პირების რეპუტაცია;

ა.ბ.ბ) კლიენტის სტრუქტურაში შემავალი (შუალედური) იურიდიული პირის საქმიანობის სფერო/ადგილსამყოფელი იურისდიქცია (ქვეყანა)/რეპუტაცია;

ა.ბ.გ) ბენეფიციარი მესაკუთრეების იდენტიფიკაცია/ვერიფიკაცია კანონმდებლობით დადგენილი საიდენტიფიკაციო ზღვარის მიუხედავად ან უფრო დაბალი ზღვარის გათვალისწინებით (მაგალითად, 10%).

ბ) დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის მოპოვება კლიენტის/ბენეფიციარი მესაკუთრის საქმიანობის შესახებ, მათ შორის:

ბ.ა) ფიზიკური პირის შემთხვევაში - დამსაქმებელი ორგანიზაციის დასახელება, ორგანიზაციის საქმიანობა და ადგილმდებარეობა. საჭიროების შემთვევაში, შესაძლოა საჭირო გახდეს კლიენტის საქმიანობის ისტორიის მოძიება და ანალიზი;

ბ.ბ) იურიდიული პირის/მეწარმე სუბიექტის შემთხვევაში - კლიენტის მნიშვნელოვანი კონტრაქტები, მისი საქმიანობის ისტორია და საჭიროების შემთხვევაში, ინფორმაცია კლიენტის ფინანსური მდგომარეობის შესახებ;

გ) დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის მოპოვება კლიენტის/ბენეფიციარი მესაკუთრის ქონების შესახებ: ინფორმაცია კლიენტის ან/და მისი ბენეფიციარი მესაკუთრის ქონების (აქტივების) შესახებ და მასთან დაკავშირებული დეტალები, მაგალითად, უძრავი ქონება, წილი/აქციები, სხვა მნიშვნელოვანი აქტივები და მასთან დაკავშირებული დეტალები. ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა მიიღოს გონივრული ზომები კლიენტის ქონების წარმომავლობის დასადგენად. ქონების წარმომავლობის შესახებ ინფორმაციის დადგენა, მიზანშეწონილია, მოიცავდეს ასევე ინფორმაციას იმ მირითადი საქმიანობ(ებ)ისა და იურისდიქცი(ებ)ის შესახებ, სადაც პირმა დააგროვა შესაბამისი ქონება.

4. ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა გადაამოწმოს კლიენტის ფაქტობრივი ადგილსამყოფლის მისამართის სიზუსტე სანდო და დამოუკიდებელი წყაროს გამოყენებით, თუ არსებობს ეჭვი საიდენტიფიკაციო მონაცემის სიზუსტეში. მისამართის გადამოწმების წყაროების მაგალითებს წარმოადგენს:

- ა) კომუნალური გადასახადების ქვითონები („utility bills“);
- ბ) საიჯარო ხელშეკრულება;
- გ) კორესპონდენცია სანდო და დამოუკიდებელი წყაროდან, როგორიცაა ადგილობრივი ან ცენტრალური სახელმწიფო უწყებები;
- დ) საარჩევნო სიები;
- ე) ადგილზე ვიზიტი;
- ვ) სხვა წყარო. ამ შემთხვევაში, ანგარიშვალდებული პირი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ გამოყენებული ზომა ადეკვატურად ამტკიცებს რეგისტრაციის/საცხოვრებელ მისამართს.

5. კლიენტის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციასთან ერთად, ანგარიშვალდებული პირი უფლებამოსილია გამოიყენოს სანდო ელექტრონული წყაროები და საძიებო ბაზები.

6. საქმიანი ურთიერთობის განზრახული ხასიათის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოპოვება გულისხმობს კლიენტის რისკის პროფილის შესაბამისად, ვალდებულებას, უფრო დეტალურად დადგინდეს მოსალოდნელი აქტივობების შესახებ ინფორმაცია (მაგალითად, საერთაშორისო გადარიცხვები არარეზიდენტ კომპანიებთან ანგარიშწორების მიზნით, საინვესტიციო გადარიცხვა/ჩარიცხვები, გზავნილი სწავლის გადასახადისთვის, და სხვა. ასევე, მაგალითად, ინფორმაცია კონტრაქტორების შესახებ - ვინაობა, მოქალაქეობა/ადგილსამყოფელი იურისდიქცია, საქმიანობის სფერო) და მიმდინარე მონიტორინგის დროს განისაზღვროს, თუ რამდენად შეესაბამება გაცხადებული ინფორმაცია კლიენტის რეალურ ქმედებებს. მაღალი რისკის არსებობის შემთხვევაში, აუცილებელია დამატებითი ზომების მიღება განსახორციელებელი ან/და უკვე განსახორციელებული ოპერაციების მიზეზების (საფუძვლის) და მასში მონაწილე პირების შესწავლის მიზნით.
7. გარკვეულ შემთხვევებში, როდესაც საქმიან ურთიერთობასთან დაკავშირებული რისკი მაღალია, ქონებისა და ფულადი სახსრების წარმომავლობის გადამოწმება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ფულადი სახსრების წარმომავლობა გულისხმობს იმ სახსრებსა და მის წარმომავლობასთან დაკავშირებულ მოქმედებებს (საქმიანობას), რომელიც დაკავშირებულია კონკრეტულ გარიგებასთან/ოპერაციასთან. ქონების წარმომავლობა განსხვავდება სახსრების წარმომავლობისგან და მასში მოიაზრება კლიენტის/ბენეფიციარი მესაკუთრის მთლიანი აქტივები (ქონება), როგორც საქმიანი ურთიერთობის ფარგლებში, ისე მის გარეთ.
8. ქონებისა და ფულადი სახსრების წარმომავლობის დასადგენად გამოყენებული ზომა უნდა იყოს იდენტიფიცირებული რისკის შესაბამისი რაც ნიშნავს იმას, რომ იგი ეფექტურად უნდა ამცირებდეს საქმიან ურთიერთობასთან ან ერთჯერად გარიგებასთან დაკავშირებულ რისკებს. კლიენტის ან/და კლიენტის ბენეფიციარი მესაკუთრის ქონებისა და ფულადი სახსრების წარმომავლობის ვერიფიკაციის მიზნით, ანგარიშვალდებული პირი უფლებამოსილია გამოიყენოს შემდეგი წყაროები ან ამ წყაროების იმგვარი კომბინაცია, რომელიც ადასტურებს შესაბამისი თანხის/აქტივების წარმომავლობას:
  - ა) ინფორმაციის მომიება თავად კლიენტისგან და მისი გადამოწმება შესაბამისი დოკუმენტით ან დოკუმენტების კომბინაციით, მაგალითად, ნასყიდობის, იჯარის, ქირავნობის ხელშეკრულებები, სახელფასო უწყისი (ცნობა), სამკვიდრო მოწმობა, დივიდენდის განაწილების გადაწყვეტილება, საბანკო ამონაწერი, საგადასახადო და საბაჟო დეკლარაციები ან სხვა. ასევე, ინფორმაცია საგადასახადო ორგანოდან, გადახდილი მოგების/საშემოსავლო გადასახადის შესახებ;
  - ბ) ინფორმაცია ოფიციალური კომერციული/სამეწარმეო/სავაჭრო (თუ რეესტრის წარმოების უფლება გააჩნია კანონმდებლობის შესაბამისად) რეესტრებიდან და სახელმწიფო ორგანოების ვებ-გვერდებზე განთავსებული ინფორმაცია კლიენტის ან/და კლიენტის ბენეფიციარი მესაკუთრის ქონების შესახებ;

- გ) ზედამხედველობას დაქვემდებარებული სანდო და დამოუკიდებელი პირების ინფორმაცია/დოკუმენტები, მათი რეპუტაციისა და რეგულირების ხარისხის გათვალისწინებით (მაგალითად, აუდიტორი);
- დ) სანდო და დამოუკიდებელი კომერციული ბაზებიდან და მედია გამოცემებიდან მოპოვებული ინფორმაცია. (ისეთი ინტერნეტ წყაროები, როგორიცაა კლიენტის ვებგვერდი, „ვიკიპედია“ (ან სხვა მსგავსი), სოციალური მედია, თუ ისინი არ გამოიყენება როგორც გადამოწმების სხვა დამატებითი (თანმხლები) პროცედურა, არ შეიძლება ჩაითვალოს საკმარისად, ვინაიდან სათუოა მათი სანდოობის ხარისხი).

#### **მუხლი 5. მიმდინარე მონიტორინგი**

1. მიმდინარე მონიტორინგი AML/CFT რისკების მართვის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს. ანგარიშვალდებული პირი ვალდებულია, კლიენტთან საქმიანი ურთიერთობის განმავლობაში, განახორციელოს:

  - ა) კლიენტის მონიტორინგი;
  - ბ) კლიენტთან დამყარებული საქმიანი ურთიერთობის/კლიენტის მიერ განხორციელებული ოპერაციების მონიტორინგი.

2. მიმდინარე მონიტორინგი წარმოადგენს სისტემას, რომელიც ფოულსირებულია კლიენტის რისკის პროფილზე, რადგან მისი განხორციელების მიზანია, იდენტიფიცირებული რისკის შესაბამისად:

  - ა) კლიენტის (მათ შორის ბენეფიციარი მესაკუთრის), საქმიანი ურთიერთობის მიზნის და განზრახული ხასიათის შესახებ განახლებული ინფორმაციის და ჩანაწერების შენახვა;
  - ბ) საჭიროების შემთხვევაში, კლიენტის რისკის გადაფასება კლიენტის მიერ განხორციელებული ოპერაციების და განახლებული ინფორმაციის შესაბამისად;
  - გ) კლიენტის მიერ განხორციელებული ტრანზაქციების შესწავლა და მათი შესაბამისობის განსაზღვრა ანგარიშვალდებული პირის ხელთ არსებულ ცოდნასთან კლიენტის შესახებ და მისი რისკის პროფილთან (მათ შორის, კლიენტის KYC ინფორმაციასთან);
  - დ) საეჭვო და უჩვეულო გარიგებების გამოვლენა და გადაცემა ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის.

3. მიმდინარე მონიტორინგი უნდა განხორციელდეს კლიენტისთვის მინიჭებული რისკისა და საქმიანი ურთიერთობის ხანგრძლივობისა და ოპერაციების მოცულობის მიუხედავად. მიმდინარე მონიტორინგის განხორციელების ფარგლები და ინტენსივობა დამოკიდებულია ანგარიშვალდებული პირის სიდიდეზე, მისი საქმიანობის კომპლექსურობასა და მრავალფეროვნებაზე და აგრეთვე, კლიენტის რისკის პროფილზე, რომელიც შესაძლოა დროთა განმავლობაში შეიცვალოს. იმისათვის, რომ მიმდინარე მონიტორინგის განხორციელებამ შეინარჩუნოს ეფექტურობა, კლიენტთან დაკავშირებული ინფორმაცია (საიდენტიფიკაციო

მონაცემები, საქმიანობის სფერო, მფლობელობითი სტრუქტურა, გამოყენებული პროდუქტები და სხვა) უნდა გადაიხედოს რეგულარულად, რისკის შესაბამისი პერიოდულობით და საჭიროების შემთხვევაში, განხორციელდეს ინფორმაციის ცვლილება და რისკის გადაფასება.

4. ანგარიშვალდებული პირი ვალდებულია პერიოდულად გადახედოს და შეაფასოს მონიტორინგის სისტემის და იმ ფაქტორების ადეკვატურობა, რის საფუძველზეც განისაზღვრება მიმდინარე მონიტორინგის დონე და ინტენსივობა.
5. ანგარიშვალდებული პირი უნდა ფლობდეს განახლებულ ინფორმაციას კლიენტის შესახებ. კლიენტის შესახებ არსებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის გადახედვა (განახლება) ხდება ანგარიშვალდებული პირის მიერ წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით და მისი სიხშირე დამოკიდებულია კლიენტისთვის მინიჭებულ რისკის დონეზე. გადახედვისთვის, როგორც წესი, მიღებულია 1, 2-3 და 3-5 წლები - მაღალი, საშუალო და დაბალი რისკის დონეების შესაბამისად.
6. გარდა წინასწარ დადგენილი პერიოდულობისა, კლიენტის KYC ინფორმაციის განახლების აუცილებლობა შესაძლებელია გამოწვეული იყოს გარე ფაქტორების ზემოქმედებით. ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც წინასწარ დადგენილი პერიოდულობით გადახედვისას, მონიტორინგის მიზანს წარმოადგენს კლიენტან დაკავშირებული მაქსიმალურად განახლებული ინფორმაციის შენახვა. გარე ფაქტორების შესაძლო მაგალითებს წარმოადგენს:
  - ა) ცვლილება კლიენტის მფლობელობით სტრუქტურაში, პოლიტიკურად აქტიური პირის (PEP) მონაწილეობა სტრუქტურაში, უარყოფითი რეპუტაციული ცნობები;
  - ბ) კლიენტან დამყარებულ საქმიან ურთიერთობასთან დაკავშირებული გარემოებები, მაგალითად, ახალი პროდუქტის გამოყენება ან განსხვავებული მომსახურებით სარგებლობა, რაც არსებითად ცვლის კლიენტან დაკავშირებულ გარემოებებს, ან ისეთი ტრანზაქციების გამოვლენა, რომელიც დამატებით შესწავლას/დაკვირვებას საჭიროებს, მაგალითად, ხშირი გადარიცხვები ერთი და იგივე მიმღებთან დროის მოკლე მონაკვეთში, მცირე ოდენობის ნაღდი ფულის განთავსების ოპერაციები მაშინ, როცა თანხის ჯამური ოდენობა მოცულობით ნიშნულს აღწევს.
7. ანგარიშის არმქონე პირთან საქმიანი ურთიერთობის არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია, ინფორმაცია განახლდეს ახალი ტრანზაქციის განხორციელებისას მაშინ, როცა ანგარიშის მქონე კლიენტის შემთხვევაში, წინასწარ განისაზღვრება განახლების რეგულარული პერიოდულობა.
8. კლიენტის შესახებ ინფორმაციის გადახედვა ასევე მოიცავს კლიენტის (ზენეფიციარი მესაკუთრის ან გარიგებაში მონაწილე სხვა პირის) მონაცემების გადამოწმებას პოლიტიკურად აქტიური პირების და სანცეიადაკისრებულ პირთა სიებში.

აღნიშნული, ასევე უნდა განხორციელდეს როგორც წინასწარ დადგენილი პერიოდულობით, ისე გარე ფაქტორების გამოვლენის შემთხვევაში.

9. ტრანზაქციების მონიტორინგი AML/CFT რისკების აღმოჩენის ძირითადი ელემენტია გამომდინარე იქიდან, რომ მოცემული პროცესი ეხმარება ანგარიშვალდებულ პირს საეჭვო ტრანზაქციების გამოვლენაში. კლიენტის მიღების პროცესში და მასთან საქმიანი ურთიერთობის მიმდინარეობისას, ანგარიშვალდებულ პირს ექმნება გარკვეული წარმოდგენა კლიენტის და მის მიერ განხორციელებული მოსალოდნელი ტრანზაქციების შესახებ, ხოლო მას შემდეგ, რაც დადგინდება მოსალოდნელი აქტივობების შინაარსი, აუცილებელია განისაზღვროს კლიენტის რეალური/ფაქტობრივი აქტივობები იმისათვის, რომ გამოვლინდეს რომელია კლიენტისთვის უჩვეულო და შეუსაბამო ტრანზაქცია და შესაბამისად, რომელი საჭიროებს დამატებით შესწავლას ან/და დაკვირვებას.
10. ტრანზაქციების მონიტორინგის სისტემა/პროცესი შესაძლოა განსხვავებული იყოს ანგარიშვალდებული პირების მეხედვით. სისტემის/პროცესის სირთულე და ინტენსივობა დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე, როგორიცაა, ანგარიშვალდებული პირის საქმიანობის სუბსექტორი, მისი მოცულობა, კლიენტების ტიპი, ტრანზაქციების სახე და სხვა. ნემისმიერ შემთხვევაში, სისტემა უნდა იძლეოდეს კლიენტზე სრულყოფილი დაკვირვების საშუალებას - ანგარიშვალდებულ პირს უნდა ჰქონდეს საშუალება შეისწავლოს კლიენტის ყველა ტრანზაქცია, მის მიერ გამოყენებული ყველა პროდუქტი და მომსახურება.
11. ანგარიშვალდებულმა პირმა, აუცილებლად უნდა განსაზღვროს, რომელი კატეგორიის ტრანზაქციები დაუქვემდებაროს მონიტორინგს „ონლაინ“ რეჟიმში და რომელი, მათი განხორციელების შემდგომ. ანგარიშვალდებული პირი, შემთხვევითი შერჩევის შედეგად, რეგულარულად უნდა სწავლობდეს ცალკეულ ტრანზაქციებს (მათ შორის, ისეთ ტრანზაქციებს, რომელიც პოლიტიკით წინასწარ არ აქვს განსაზღვრული), რათა მოახდინოს იმ ტენდენციების იდენტიფიკაცია, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს რისკის შეფასებაზე და ასევე შეაფასოს ტრანზაქციების მონიტორინგის სისტემის სანდოობა და შესაბამისობა.
12. ტრანზაქციების მონიტორინგის დროს, ანგარიშვალდებულმა პირმა ყურადღება უნდა გაამახვილოს შემდეგ გარემოებებზე:
  - ა) ტრანზაქციის უჩვეულო მოცულობა ან სიხშირე კონკრეტულ კლიენტთან ან კლიენტების ჯგუფთან მიმართებაში (აღნიშნული მიზნით, ანგარიშვალდებული პირი უნდა იცნობდეს კლიენტის ან გარკვეული კატეგორიით დაჯგუფებული კლიენტთა ჯგუფისთვის ჩვეულებრივ და მათთვის დამახასიათებელ ტრანზაქციებს);
  - ბ) ტრანზაქციები შესაძლოა სრულდებოდეს ანგარიშგებების წარდგენის თავიდან არიდების მიზნით (მაგალითად, ტრანზაქციების ნებისმიერი ფორმით დანაწევრება ან მისი მცდელობა);

- გ) ტრანზაქციები სრულდება მხოლოდ სატრანზიტო დანიშნულებით;
- დ) ტრანზაქციის გეოგრაფიული დანიშნულების ან წარმომავლობის იურისდიქცია (მაგ. თანხა ფულადი გზავნილის სისტემით იგზავნება მაღალი რისკის იურისდიქციაში);
- ე) ტრანზაქციაში მონაწილე პირების ვინაობა და რეპუტაცია (მაგ. სანქციადაკისრებული ან პოლიტიკურად აქტიური პირები), და სხვა.
13. ტრანზაქციების მონიტორინგი უნდა განხორციელდეს რისკზე დამყარებული მიდგომის შესაბამისად. მონიტორინგის სიხშირე და ინტენსივობა უნდა იყოს დამოკიდებული რისკის პროფილზე.
14. ამ მუხლით განსაზღვრული ღონისძიებები არ არის ამომწურავი. ანგარიშვალდებულმა პირმა, საკუთარი ბიზნესის და კლიენტების/ტრანზაქციების სპეციფიკიდან გამომდინარე, პოლიტიკა-პროცედურებით დეტალურად უნდა განსაზღვროს მიმდინარე/ტრანზაქციების მონიტორინგის პერიოდულობა, სხვა ძირითადი მახასიათებლები და დამატებითი გარემოებები, რაზეც მონიტორინგის ფარგლებში გაამახვილებს ყურადღებას.
15. გაძლიერებული მონიტორინგის განხორციელებისას, ანგარიშვალდებულმა პირმა, უნდა მიიღოს დამატებითი ზომები განხორციელებული გარიგებების/ოპერაციების დეტალური შესწავლის მიზნით (მათ შორის, ტრანზაქციის განხორციელების საფუძველი და მიზეზი, პრევენციული ღონისძიების შედეგად მოპოვებული დამატებითი ინფორმაცია) და აგრეთვე, მიზანშეწონილია:
- ა) დაადგინოს განსხვავებული კრიტერიუმები მაღალრისკიანი კლიენტების ტრანზაქციების გადახედვის შემთხვევაში, რომელიც უნდა განხორციელდეს უფრო ხშირად, ვიდრე სტანდარტულ შემთხვევაში;
  - ბ) მაღალრისკიანი კლიენტების ტრანზაქციების გადახედვისთვის დააწესოს სტანდარტული შემთხვევებისგან განსხვავებული, დაბალი ლიმიტები ან გარკვეული ტიპის კლიენტებთან მიმართებაში, ტრანზაქციების გადახედვა განხორციელდეს ლიმიტების მიუხედავად;
  - გ) უზრუნველყოს გარკვეული კრიტერიუმების საფუძველზე შემუშავებული ტრანზაქციების რეპორტების ანალიზი (მათ შორის, მსგავსი კლიენტების ოპერაციების შედარება) არა მხოლოდ ავტომატურად, არამედ შესაბამისი თანმშრომლების მიერ და ასევე, დაადგინოს ანალიზის განხორციელების პერიოდულობა;
  - დ) მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტაცია, მათ შორის, კლიენტთან და მის პროფილთან შეუსაბამო გარიგებების (ოპერაციები) შესწავლის მიზნით (მაგალითად, კონკრეტული ტრანზაქციის შესწავლის მიზნით, მოითხოვოს ხელშეკრულება, ინვოისი/გადარიცხის ორდერი, საქონლის/მომსახურების ზედნადები, საქონლის საზღვრის კვეთის/განბაჟების დოკუმენტაცია და ა.შ.);
  - ე) განსაზღვროს თანხმობის შემთხვევები ინდივიდუალურ დონეზე (მაგალითად, იმ შემთხვევაში, როცა მაღალი რისკის კლიენტი იყენებს აზალ პროდუქტს ან

მომსახურებას). ამასთან, შესაძლოა ხელმძღვანელის მიერ ტრანზაქციების დადასტურების აუცილებლობა დადგინდეს ნებისმიერი ოპერაციის განხორციელებისას, ოპერაციის განხორციელებამდე.

#### **მუხლი 6. გაძლიერებული პრევენციული ღონისძიებების გატარება პოლიტიკურად აქტიური პირების (PEP) შემთხვევაში**

1. პოლიტიკურად აქტიური პირების, ისევე როგორც მათი ოჯახის წევრებისა და დაკავშირებული პირების მიმართ, გამოიყენება კანონმდებლობით დადგენილი გაძლიერებული პრევენციული ღონისძიებები.
2. გაძლიერებული პრევენციული ღონისძიებების გამოყენების ფარგლები უნდა იყოს იდენტიფიცირებული რისკების შესაბამისი, რაც გულისხმობს, რომ ანგარიშვალდებულმა პირმა, შესაბამისი დოკუმენტურად დადასტურებული ანალიზის საფუძველზე, PEP-თან დაკავშირებული საქმიანი ურთიერთობა ან ერთჯერადი გარიგება შემცირებული რისკის მატარებლად მიიჩნიოს და გამოიყენოს გაძლიერებული პრევენციული ღონისძიებების შედარებით დაბალი სტანდარტი (იდენტიფიცირებული რისკის შესაბამისად, დაარეგულიროს მიმდინარე მონიტორინგის სიხშირე და ინტენსივობა). ანალიზის განხორციელებისას, ანგარიშვალდებულმა პირმა, სულ მცირე, უნდა გაითვალისწინოს შემდეგი გარემოებები:
  - ა) პოლიტიკურად აქტიური პირის თანამდებობა და მისი საქმიანობის სეგმენტი ნაკლებადაა დაკავშირებული კორუფციის გავრცელებულ რისკებთან;
  - ბ) ქვეყანა, სადაც იგი შესაბამის თანამდებობას იკავებს, ხასიათდება კორუფციის დაბალი მაჩვენებლით;
  - გ) არ ჩნდება ეჭვი სასურველი ფინანსური მომსახურების მიღების ლეგიტიმურ საფუძველში და ამასთანავე, სახეზე არ არის მომეტებული რისკის რომელიმე სხვა გარემოება.
3. რისკების შეფასებისას, რისკის შეფასების სახელმძღვანელოს მიხედვით განსაზღვრულ რისკ-ფაქტორებთან ერთად, ანგარიშვალდებულმა პირმა, დამატებით, უნდა გაითვალისწინოს ისეთი გარემოებები, როგორიცაა:
  - ა) PEP-ის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორები;
  - ბ) იმ იურისდიქციის პოლიტიკური გარემო და გავრცელებული კორუფციის დონე, სადაც პირი იკავებს შესაბამის თანამდებობას;
  - გ) იმ გარემოების დადგენა და შეფასება, თუ რატომ სურს პოლიტიკურად აქტიურ პირს მომსახურების მიღება მისი ადგილსამყოფელი იურისდიქციის გარეთ (უცხო ქვეყნის PEP-ის შემთხვევაში);
  - დ) სასურველი პროდუქტები (მომსახურება) და მასთან დაკავშირებული რისკები;

- ე) პირის ქონებისა და ფულადი სახსრების წარმომავლობა და მისი მოცულობა.
4. ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა დაადგინოს, პოლიტიკურად აქტიური პირების რომელ კატეგორიას განეკუთვნება მისი კლიენტი ან კლიენტის ბენეფიციარი მესაკუთრე:
- ა) ადგილობრივი პოლიტიკურად აქტიური პირი;
  - ბ) უცხო ქვეყნის პოლიტიკურად აქტიური პირი;
  - გ) საერთაშორისო ორგანიზაციის პოლიტიკურად აქტიური პირი.
5. პოლიტიკურად აქტიური პირის დადგენისას, ანგარიშვალდებულმა პირებმა უნდა გაითვალისწინონ მხოლოდ ის ფუნქციები, რომელიც რეალურად მნიშვნელოვანია და მხოლოდ ის თანამდებობები, რომელიც შეესაბამება იერარქიის უმაღლეს დონეს. საშუალო და დაბალი რანგის თანამდებობების შემთხვევაში, ანგარიშვალდებულმა პირმა აღნიშნული ფაქტორები და გარემოებები ასევე უნდა გაითვალისწინოს კლიენტის რისკის ზოგადი შეფასებისას.
6. თუ ანგარიშვალდებული პირი, მიუხედავად პოლიტიკურად აქტიური პირების შესაბამის ბაზაში დაფიქსირებული სტატუსისა, პირს არ მიიჩნევს PEP სტატუსის მქონედ, აუცილებელია მიღებული გადაწყვეტილების არგუმენტირებული დასაბუთება და მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამისი ანალიზის წარდგენა საზედამშედველო ორგანოსთვის.
7. კლიენტის ან კლიენტის ბენეფიციარი მესაკუთრისთვის PEP სტატუსის განსაზღვრისას, უნდა შეფასდეს დაკავებულ თანამდებობასთან დაკავშირებული რიგი გარემოებები, რომელიც მის მნიშვნელობასა და გავლენის ხარისხს განსაზღვრავს:
- ა) უფლებამოსილებები სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრასთან დაკავშირებით და PEP-ის მიერ დაკავებული თანამდებობის გამოყენებით მნიშვნელოვან პროცესებზე ზეგავლენის შესაძლებლობის ხარისხი;
  - ბ) ინდივიდუალური წვდომა მნიშვნელოვან სახელმწიფო აქტივებზე;
  - გ) PEP პასუხისმგებელია, ან აქვს შესაძლებლობა ზეგავლენა მოახდინოს სახელმწიფო გრანტების გაცემაზე, მსხვილ სახელმწიფო შესყიდვებზე, ლიცენზიების/ნებართვების გაცემაზე ან სხვა სახელმწიფო კონტრაქტებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებზე;
  - დ) კავშირი საქმიანობის ისეთ სექტორებთან, რომელიც დაკავშირებულია კორუფციულ გარიგებებთან.
8. პოლიტიკურად აქტიური პირების იდენტიფიკაციის მიზნით, თავად კლიენტისგან მიღებულ ინფორმაციასთან ერთად, ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა გამოიყენოს:

- ა) საერთაშორისო ორგანიზაციების და სახელმწიფო უწყებების ვებ-გვერდებზე განთავსებული ინფორმაცია;
- ბ) კომერციული ბაზები.
9. გაძლიერებული პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ფარგლები დამოკიდებული უნდა იყოს პოლიტიკურად აქტიურ პირთან დამყარებული საქმიანი ურთიერთობის/ერთჯერადი გარიგების რისკზე. როდესაც PEP-თან დაკავშირებული რისკის დონე განსაკუთრებით მაღალია, მიზანშეწონილია, გაძლიერებული პრევენციული ღონისძიებების უმაღლესი სტანდარტის გამოყენება (მაგალითისათვის, ანგარიშვალდებულმა პირმა ქონების და ფულადი სახსრების წარმომავლობის წყაროსთან დაკავშირებული ინფორმაციის ვერიფიკაცია აუცილებლად უნდა მოახდინოს სანდო, დამოუკიდებელი წყაროდან მიღებულ მონაცემებზე, ინფორმაციაზე ან დოკუმენტაციაზე დაყრდნობით). მიზანშეწონილია, საჭიროების შემთხვევაში, PEP-ის იურისდიქციასთან დაკავშირებული სოციალური და კულტურული ასპექტების გათვალისწინება, - PEP-ის ოჯახის წევრთა წრის გაფართოება (მაგალითად, ბიძები და დეიდები, შვილიშვილები, დეიდაშვილები).
10. ანგარიშვალდებულმა პირი, რომელიც დაადგენს, რომ კლიენტი ან კლიენტის ბენეფიციარი მესაკუთრე წარმოადგენს პოლიტიკურად აქტიურ პირს (ასევე, პოლიტიკურად აქტიური პირის ოჯახის წევრს ან დაკავშირებულ პირს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად), ვალდებულია განახორციელოს გაძლიერებული პრევენციული ღონისძიებები:
- ა) მიიღოს გონივრული ზომები მისი ქონებისა და ფულადი სახსრების წარმომავლობის დასადგენად, რათა დარწმუნდეს, რომ აღნიშნული არ არის მიღებული დანაშაულებრივი საქმიანობიდან. ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ML/TF რისკი კიდევ უფრო გაზრდილია, თუ პოლიტიკურად აქტიური პირი დაკავშირებულია ისეთ ქვეყნებთან ან საქმიანობის ისეთ სექტორებთან, სადაც კორუფცია ფართოდაა გავრცელებული. პოლიტიკურად აქტიური პირის ქონების და სახსრების წარმომავლობის დასადგენად გამოსაყენებელი ზომები უნდა იყოს გონივრული. ანგარიშვალდებულმა პირმა ქონების ან ფულადი სახსრების წარმომავლობის წყაროსთან დაკავშირებული ინფორმაციის ვერიფიკაცია აუცილებლად უნდა მოახდინოს სანდო წყაროდან მიღებულ მონაცემებზე, ინფორმაციაზე ან დოკუმენტაციაზე დაყრდნობით;
- ბ) ხელმძღვანელობისგან მოიპოვოს თანხმობა PEP-თან საქმიანი ურთიერთობის გაგრძელებასთან ან/და დამყარებასთან დაკავშირებით. თანხმობის გამცემმა პირმა უნდა მიიღოს ინფორმირებული და არგუმენტირებული გადაწყვეტილებები;
- გ) განახორციელოს გაძლიერებული მონიტორინგი როგორც ტრანზაქციებზე, ისე საქმიან ურთიერთობასთან დაკავშირებულ რისკზე. ანგარიშვალდებულმა პირმა რეგულარულად უნდა გადახედოს მის ხელთ არსებულ ინფორმაციას, რათა დროულად გამოავლინოს ნებისმიერი ახალი გარემოება, რომელსაც შეუძლია გავლენა

მოახდინოს რისკის შეფასებაზე და ამასთან, გამოავლინოს უჩვეულო და საეჭვო გარიგებები.

11. ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა გაითვალისწინოს, რომ პოლიტიკურად აქტიური პირის სასარგებლოდ შექმნილი იურიდიული პირი ან ორგანიზაციული წარმონაქმნი ყოველთვის მომეტებული რისკის მატარებელია. რისკები შემცირებულია, თუ პოლიტიკურად აქტიური პირი წარმოადგენს იურიდიული პირის საბჭოს წევრს, რომელიც:

- ა) ივაჭირება საჯაროდ აღიარებულ საფონდო ბირჟაზე და საფონდო ბირჟის ან კანონმდებლობის თანახმად, მოეთხოვება ინფორმაციის გამჯღავნება და ბენეფიციური მფლობელობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;
- ბ) ექვემდებარება ეფექტიან რეგულირებასა და ზედამხედველობას;
- გ) იურიდიქცია, სადაც პირი რეგისტრირებულია ან საქმიანობს, ხასიათდება MF/TF დაბალი რისკებით.

12. მხოლოდ სახელმწიფო უწყების და სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი პირის ხელმძღვანელ პოზიციაზე ყოფნის გამო, კლიენტი ავტომატურად არ უნდა დაუჭვემდებაროს გაძლიერებულ პრევენციულ ღონისძიებებს, გარდა მაღალი რისკის იურისდიქციის სახელმწიფო უწყებებისა და ამ იურისდიქციების სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი პირებისა, და ასევე, გარდა იმ იურისდიქციებისა, რომლთაც არ გააჩნიათ ეფექტური AML/CFT რეჟიმი, ან არ აქვთ კორუფციის ან/და სხვა კრიმინალური აქტივობის დაბალი დონე. ამასთან, პოლიტიკურად აქტიურ პირთან დაკავშირებული რისკები სახეზეა ისეთ შემთხვევებში, როცა მაგალითად, ქვეყნის მმართველი საკუთარ ოჯახის წევრებს ან სხვა დაკავშირებულ პირებს ნიშნავს შესაბამის თანამდებობებზე, ან როდესაც, კონტროლის ქვეშ არსებული სახელმწიფო და პირადი სახსრები ცალსახად არ იმიჯნება ერთმანეთისგან.

13. ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა აღრიცხოს შემდეგი ინფორმაცია პოლიტიკურად აქტიური პირის შესახებ:

- ა) დაკავებული თანამდებობის დასახელება, ქვეყანა და ხანგრძლივობა (ოჯახის წევრის შემთხვევაში - PEP-თან ურთიერთობის შინაარსი);
- ბ) ფულადი სახსრების წყარო (თუ ოჯახის წევრი უთითებს, რომ სახსრები პოლიტიკურად აქტიურ პირს ეკუთვნის - ასევე, აღნიშნული ინფორმაცია).

**მუხლი 7. გაძლიერებული პრევენციული ღონისძიებების გატარება მაღალი რისკის იურისდიქციების შემთხვევაში**

1. მაღალი რისკის იურისდიქციების შემთხვევაში, ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა განახორციელოს გაძლიერებული პრევენციული ღონისძიებები, რაც მოიცავს:

ა) პრევენციული ღონისძიების მიზნებისთვის მისაღები ინფორმაციის რაოდენობის (მოცულობის) გაზრდას:

ა.ა) კლიენტის, მფლობელობის და კონტროლის სტრუქტურის ან მისი ბენეფიციარი მესაკუთრის ვინაობის შესახებ, რათა ანგარიშვალდებულ პირს სრულყოფილად ჩამოუყალიბდეს საქმიან ურთიერთობასთან დაკავშირებული რისკების შესახებ ცოდნა. აღნიშნული, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა მოიცავდეს კლიენტის ან მისი ბენეფიციარი მესაკუთრის შესახებ ისეთი ინფორმაციის მოპოვებას და შესწავლას სანდო საჯარო წყაროებით და ბაზებით, როგორიცაა:

ა.ა.ა) ინფორმაცია ოჯახის წევრების და მჭიდრო საქმიანი ურთიერთობით დაკავშირებული პირების შესახებ;

ა.ა.ბ) კლიენტის ან ბენეფიციარი მესაკუთრის როგორც აწმყო, ისე წარსული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია და სხვა.

ა.ბ) ინფორმაცია საქმიანი ურთიერთობის მიზნისა და განზრახული ხასიათის შესახებ, მისი ლეგიტიმურობის შესაფასებლად. ამასთან, აღნიშნული ინფორმაცია დაეხმარება ანგარიშვალდებულ პირს სრულყოს კლიენტის რისკის პროფილი. საქმიანი ურთიერთობის მიზნისა და განზრახული ხასიათის შესახებ ინფორმაცია, მაგალითისათვის, მოიცავს დეტალურ ინფორმაციას:

ა.ბ.ა) ტრანზაქციების მოსალოდნელ რაოდენობაზე, მოცულობასა და სიხშირეზე, რათა ანგარიშვალდებულ პირს მიეცეს საშუალება გამოავლინოს მოპოვებული ინფორმაციიდან გადახრის შემთხვევები;

ა.ბ.ბ) კონკრეტული პროცესების ან სერვისის გამოყენების საჭიროებისა და მიზნობრიობის შესახებ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გაურკვეველია რატომ არ შეიძლება კლიენტის საჭიროების უკეთ დაკმაყოფილება სხვა გზით ან სხვა იურისდიქციაში;

ა.ბ.გ) ფულადი სახსრების დანიშნულების ადგილთან დაკავშირებით;

ა.ბ.დ) კლიენტის ან მისი ბენეფიციარი მესაკუთრის საქმიანობის არსთან დაკავშირებით, რათა უკეთესად იქნას აღქმული საქმიანი ურთიერთობის მოსალოდნელი ბუნება.

ბ) პრევენციული ღონისძიების მიზნებისთვის მისაღები ინფორმაციის ხარისხის გაუმჯობესებას იმისათვის, რომ დადასტურდეს კლიენტის ან მისი ბენეფიციარი მესაკუთრის ვინაობა, ან მათთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია, მაგალითად:

ბ.ა) მოთხოვნა, რომ პირველი გადახდა განხორციელდეს სხვა ფინანსურ ინსტიტუტში კლიენტის სახელზე არსებული ანგარიშიდან;

ბ.ბ) კლიენტის ქონებისა და ფულადი სახსრების წარმომავლობის დადგენა და საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნულის დადასტურება სანდო და დამოუკიდებელი წყაროების გამოყენებით იმაში დასარწმუნებლად, რომ სახსრები არ არის დაკავშირებული დანაშაულებრივ საქმიანობასთან და შესაბამისობაშია ანგარიშვალდებული პირის ხელთ არსებულ ცოდნასთან კლიენტის შესახებ. ქონების და ფულადი სახსრების წარმომავლობის დასადგენად გამოყენებული ზომა უნდა იყოს იდენტიფიცირებული რისკის შესაბამისი რაც ნიშნავს იმას, რომ იგი ეფექტურად უნდა ამცირებდეს საქმიანი ურთიერთობასთან ან ერთჯერად გარიგებასთან დაკავშირებულ რისკებს. მაგალითისათვის, მაღალი რისკის იურისდიქციის მოქალაქე, რომელიც

იყენებს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ან საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 7 მაისის N82/04 ბრძანებით დამტკიცებული „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების რისკის შეფასების სახელმძღვანელოს“ მიზედვით განსაზღვრულ დაბალი რისკის მატარებელ, დაბალი ღირებულების პროდუქტებს და თუ ერთადერთი გარემოება, რაც საქმიანი ურთიერთობის მაღალრისკიანად მიჩნევის საფუძველია არის იურისდიქციის რისკი, ასეთ შემთხვევაში, გონივრულ ზომად ჩაითვლება დაყრდნობა თავად კლიენტის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე. მოცემულ შემთხვევაში, აუცილებელია ტრანზაქციების მონიტორინგი, რათა ანგარიშვალდებული პირი დარწმუნებული იყოს, რომ ინფორმაცია შეესაბამება მის ხელთ არსებულ ცოდნას კლიენტის შესახებ). ამასთან, სანდო და დამოუკიდებელი წყაროების გამოყენება ქონებისა და ფულადი სახსრების წარმომავლობის ვერიფიკაციისათვის აუცილებელია, თუ მაღალი რისკის იურისდიქციის კლიენტის ან/და ბენეფიციარი მესაკუთრის ოპერაციები მოცულობითა.

გ) გადახედვის/განახლების სიხშირის გაზრდა, რათა ანგარიშვალდებული პირი დარწმუნდეს, რომ ისევ შეუძლია მართოს საქმიან ურთიერთობასთან დაკავშირებული რისკი ან მიიჩნიოს, რომ კლიენტის რისკი აღარ შეესაბამება მისი რისკის „მადას“;

დ) ტრანზაქციების უფრო ხშირი და სიღრმისეული (დაბალი ზღვარი ან ყველა ტრანზაქცია) მონიტორინგი, რათა გამოვლინდეს ნებისმიერი უჩვეულო და მოულოდნელი ტრანზაქცია, რომელმაც შესაძლოა აღმრას ეჭვი ფულის გათეთრებასთან ან ტერორიზმის დაფინანსებასთან დაკავშირებით. აღნიშნული ზომა მოიცავს ფულადი სახსრების საბოლოო დანიშნულების დადგენას, კონკრეტული ტრანზაქციის მიზნობრიობის გარკვევას და სხვა შესაბამის ზომებს;

ე) ხელმძღვანელობისგან თანხმობის მოპოვება საქმიანი ურთიერთობის დამყარებაზე ან გაგრძელებაზე.

2. გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა, საქმიანი ურთიერთობა ან ერთჯერადი გარიგება ითვლება მაღალი რისკის იურისდიქციასთან დაკავშირებულად, თუ სახეზეა ერთ-ერთი შემდეგი გარემოება:

ა) მაღალი რისკის იურისდიქცია წარმოადგენს ფულადი სახსრების წარმომავლობის ქვეყნას;

ბ) ფულადი სახსრების მიღება ხდება მაღალი რისკის იურისდიქციიდან;

გ) მაღალი რისკის იურისდიქცია წარმოადგენს სახსრების დანიშნულების ქვეყანას.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა გამოიჩინოს განსაკუთრებული ყურადღება, შეაფასოს საქმიანი ურთიერთობის ან ერთჯერადი გარიგების რისკები და გადაწყვიტოს, რომელი პრევენციული ღონისძიება ან ღონისძიების რომელი კომბინაცია შეძლებს წარმოშობილი ML/TF რისკების ეფექტიან მიტიგაციას.

**მუხლი 8.** გაძლიერებული პრევენციული ღონისძიებები უზვეულო გარიგებების შემთხვევაში

1. უზვეულო გარიგებების ან მათი ერთობლიობის გამოსავლენად აუცილებელია, რომ ანგარიშვალდებულმა პირმა შეიმუშაოს ადეკვატური პოლიტიკა-პროცედურები და დანერგოს შესაბამისი სისტემა;
2. უზვეულო გარიგებების შემთხვევაში, გაძლიერებული პრევენციული ღონისძიებები (EDD), სულ მცირე, უნდა მოიცავდეს:
  - ა) გონივრული და ადეკვატური ზომების მიღებას ტრანზაქციის განხორციელების მიზეზის და მიზნების შესახებ (მაგალითად, ფულადი სახსრებების წყაროს და სახსრების დანიშნულების დადგენა და კლიენტის საქმიანობის შესახებ მეტი ინფორმაციის მოძიება); და
  - ბ) საქმიანი ურთიერთობის და შესაბამისი ოპერაციების მიმართ ყურადღების გაძლიერებასა და მონიტორინგის გახშირებას. შესაძლოა, ანგარიშვალდებულმა პირმა დაადგინოს თითოეული ტრანზაქციის წინასწარი ავტორიზაციის ვალდებულება.
3. თუ ანგარიშვალდებული პირი ვერ ადგენს გარიგების ეკონომიკურ მიზნობრიობას ან სამართლებრივ მიზეზებს ან აქვს ეჭვი მოპოვებული ინფორმაციის უტყუარობასთან დაკავშირებით, იგი ვალდებულია გამოიყენოს გაძლიერებული პრევენციული ღონისძიებები, რაც ანგარიშვალდებულ პირს დაეხმარება განსაზღვროს, არის თუ არა ტრანზაქცია საეჭვო.

**მუხლი 9.** გაძლიერებული პრევენციული ღონისძიებების გატარების სხვა შესაძლო შემთხვევები

1. მიუხედავად მინიჭებული რისკის დონისა, მომეტებული რისკის არსებობის შემთხვევაში, ანგარიშვალდებულმა პირმა, მიზანშეწონილია, გამოიყენოს გაძლიერებული პრევენციული ღონისძიებების რომელიმე ერთი ზომა ან მათი კომბინაცია, რომელიც კონკრეტულ რისკ-ფაქტორს მიემართება. მაგალითად:
  - ა) არარეზიდენტი კლიენტის შემთხვევაში, მიზანშეწონილია, ანგარიშვალდებულ პირს ესმოდეს მიზეზი, თუ რატომ ამყარებს კლიენტი საქმიან ურთიერთობას ადგილობრივი იურისდიქციის გარეთ, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ფულადი სახსრები მაღალი რისკის იურისდიქციიდან მომდინარეობს;
  - ბ) პერსონალური საბანკო მომსახურების შემთხვევაში, მიზანშეწონილია, დამატებითი ინფორმაციის მოძიება ფულადი სახსრების და კლიენტის ქონების შესახებ და აღნიშნული ინფორმაციის დადასტურება სანდო და დამოუკიდებელი წყაროების მეშვეობით, გონივრულობის ფარგლებში. აგრეთვე, მიმდინარე მონიტორინგის გაძლიერება და საქმიანი ურთიერთობის უფრო დეტალური შესწავლა, ვიდრე სხვა საბანკო პროდუქტების გამოყენების შემთხვევაში;

გ) იმ კლიენტებთან მიმართებაში, ვინც იყენებს წომინალურ მფლობელებს/აქციონერებს, განსაზღვროს სტრუქტურაში წომინალური ელემენტის გამოყენების მიზეზი და წომინალური აქციონერის შესაბამისობის ხარისხი (რეგულირების/ზედამხედველობის სტატუსი იურისდიქციის რისკთან ერთად. ასევე, მისი რეპუტაცია). აღნიშნული ინფორმაციის მოსაძიებლად, შესაძლებელია საჯარო წყაროების გამოყენება;

დ) თუ კლიენტის მფლობელობის სტრუქტურაში ფიგურირებს წარმომდგენზე ფასიანი ქაღალდები (Bearer Shares), კანონმდებლობით დადგენილი საიდენტიფიკაციო ზღვარის მიუხედავად, ანგარიშვალდებული პირი ვალდებულია გამოიყენოს რისკის შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები და ამავდროულად, დაადგინოს შემდეგი:

დ.ა) რატომ იყენებს კლიენტი, ბენეფიციარი მესაკუთრე ან სტრუქტურაში შემავალი რომელიმე შუალედური პირი წარმომდგენზე ფასიან ქაღალდებს და დარწმუნდეს აღნიშნულის ლეგიტიმურ საფუძველში;

დ.ბ) დარწმუნდეს, რომ წარმომდგენზე ფასიანი ქაღალდები ინახება ზედამხედველობას დაქვემდებარებულ ფინანსურ ინსტიტუტთან ან პროფესიულ შუამავალთან. მსგავს შემთხვევებში, ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა გაითვალისწინოს იმ იურისდიქციის შესაბამისობა FATF-ის რეკომენდაციებთან, სადაც რეგისტრირებულია/საქმიანობს ფინანსური ინსტიტუტი ან პროფესიული შუამავალი და შესაბამისად, მხედველობაში მიღლოს მისი ზედამხედველობის ეფექტიანობა AML/CFT მიმართულებით;

ე) დისტანციური ურთიერთობა მოითხოვს დამატებითი მტკიცებულების მოპოვებას სანდო და დამოუკიდებელი წყაროებიდან კლიენტის ვინაობის დადასტურებისთვის. (მაგალითად, თუ ანგარიშვალდებული პირი ჯგუფის წევრია, შესაძლებელია მისაღები იყოს თანხმობა (დასტური) ჯგუფის სხვა წევრისგან ან თანხმობა რეგულირებას დაქვემდებარებული სხვა სუბიექტისგან, რომ იდენტიფიკაცია/ვერიფიკაციის პროცედურები გავლილია). აგრეთვე, მიზანშეწონილია, რისკის შესაბამისი სხვა ისეთი ზომების კომბინაციის გამოყენება, რომ თავიდან იქნეს აცილებული ვინაობის გაყალბების რისკი (ანგარიშვალდებული პირი უნდა დარწმუნდეს, რომ კლიენტი სწორედ ის პირია, ვის მონაცემებსაც აწვდის), მაგალითად:

ე.ა) პირველი გადახდის განხორციელება კლიენტის სახელზე არსებული ზედამხედველობას დაქვემდებარებული ანგარიშვალდებული სხვა პირის ანგარიშიდან;

ე.ბ) სატელეფონო კონტაქტი უკვე ვერიფიცირებულ სახლის ან სამსახურის წომერზე ან ე.წ. ვიდეო ზარი;

ე.გ ) ინტერნეტ „sign in“-ის თანმდევი ვერიფიკაციის ზომები, სადაც კლიენტი იყენებს უსაფრთხოების კოდებს, რომელიც უკვე დადგენილია ანგარიშის გახსნის დროს;

ე.დ.) ბარათის ან ანგარიშის აქტივაციის სპეციალური ზომები.

ვ) ვაჭრობის დაფინანსება (საერთაშორისო საბანკო გარანტია/აკრედიტივი) - იმ ინფორმაციასთან ერთად, რასაც ანგარიშვალდებული პირი სტანდარტულად

მოიპოვებს კლიენტის და მისი საქმიანობის შესახებ (ინფორმაცია კონტრაქტორ პირებზე, მათ შორის მათი რეზიდენცია, სავაჭრო საქონლის სახეობა და რა გზებს გადის საქონელი ვაჭრობისას), მიზანშეწონილია, ანგარიშვალდებულმა პირმა:

ვ.ა) ტრანზაქციის მხარეების სანქციადაკისრებულ და პოლიტიკურად აქტიური პირების სიებში გადამოწმებასთან ერთად, საჭიროების შემთხვევაში, დაადგინოს დამატებითი ინფორმაცია ტრანზაქციის მხარეების შესახებ, მაგალითად, მფლობელობის (კონტროლის) სტრუქტურა, კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და რეპუტაცია (განსაკუთრებით მაშინ, თუ იგი მაღალი რისკის იურისდიქციაში საქმიანობს/დაფუძნებულია ან ვაჭრობა ხორციელდება მაღალი რისკის პროდუქციით);

ვ.ბ) ტრანზაქციების შესამოწმებლად გამოიყენოს მესამე პირების ან საჯარო მონაცემთა წყაროები, როგორიცაა ე.წ. „Maritime Bureau“ ან საზღვაო ხაზის კონტეინერების მიდევნების მომსახურება ან მოითხოვოს უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული ტვირთის შემოწმების/მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი/სერტიფიკატი მაგ. ე.წ. bill of lading“ ან „sea waybill“;

ვ.გ) გადაამოწმოს, რომ შესაბამისი დოკუმენტი შეიცავს საქონლის წონას, მოცულობას, ფასს და გაითვასლინინოს პროფესიული დასკვნები იმისათვის, რომ დადგინდეს, რამდენად შეესაბამება საქონლის ფასები ეკონომიკურ შინაარს;

ვ.დ) შეამოწმოს, რომ საქონლის წონა და მოცულობა შეესაბამება გადაზიდვის მეთოდს.

ზ) სატრასტო ურთიერთობის შემთხვევაში, ანგარიშვალდებული პირი აუცილებლად უნდა გაეცნოს ტრასტის შექმნის დოკუმენტს (Trust Deed, Trust Agreement და სხვ.) და განსაზღვროს ტრასტის ტიპი, ტრასტის მხარეების უფლებამოსილებების ფარგლები და მათი განხორციელების თავისებურებები, ბენეფიციარების ტიპი და კლასი, ტრასტის დანიშნულება. ტრასტის შექმნის დოკუმენტთან ერთად, ანგარიშვალდებულმა პირმა შესაძლებელია მოითხოვოს ტრასტის დეკლარაცია (Trust Declaration) შესაბამისი ინფორმაციის მითითებით და ასევე, გამოიყენოს საჯარო წყაროებში განთავსებული ინფორმაცია, რომელსაც იგი განიხილავს ტრასტის შექმნის დოკუმენტის დებულებებთან ერთობლიობაში. ტრასტის ქონების და ფულადი სახსრების წარმომავლობის დასადგენად, აუცილებელია დადგინდეს მარწმუნებლის ქონების წარმომავლობა და გარდა ამისა, განისაზღვროს იმ შემოსავლის ტიპი და ოდენობა, რასაც ტრასტი იღებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ტრასტის მხარეების მიმართ პრევენციული ღონისძიებები უნდა გატარდეს კანონმდებლობისა და კლიენტის ბენეფიციარი მესაკუთრის დადგენასთან დაკავშირებით, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული სახელმძღვანელო დოკუმენტის შესაბამისად.

2. გამოსაყენებელი გამლიერებული პრევენციული ღონისძიების ტიპი და მისი გამოყენების ფარგლები დამოკიდებული უნდა იყოს საქმიანი ურთიერთობის ან ერთჯერადი გარიგების მომეტებული რისკის შემცველად მიჩნევის საფუძველზე (მაგალითისათვის, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლოა, მიზანშეწონილი იყოს მიმდინარე მონიტორინგის ხარისხის და ინტენსივობის გაძლიერება).